

შპს „ვიტ ჯორჯია ფარმი“ (ს/კ: 205081365)

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2024 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება-----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები-----	6-12

შპს „ვიტ ჯორჯია ფარმი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	5874	383
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და სხვა მოთხოვნები	4	550020	720196
წინასწარ გადახდილი გადასახადები მარაგები		108300	94024
ძირითადი საშუალებები	5	556770	194102
არამატერიალური აქტივები	6	9988	9988
სულ აქტივები		1230952	1018693
ვალდებულება			
საიჯარო ვალდებულება		2259	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	145838	275134
საგადასახადო ვალდებულებები		4042	8976
გრძელვადიანი სესხები	8	526210	349830
სხვა ვალდებულება		37000	
სულ ვალდებულება		715349	633940
კაპიტალი საწესდებო			
კაპიტალი		2000	2000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		130850	114234
რეზერვი		382753	268519
სულ კაპიტალი		515603	384753
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1230952	1018693

დირექტორი: ნ.




შპს „ვიტ ჯორჯია ფარმი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით (ლარში)

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	9	1022794	1006081
თვითღირებულება	10	-640847	-674043
სხვა			
საერთო მოგება		381947	332038
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	-251097	-164335
საოპერაციო მოგება		130850	167703
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	12	0	-53469
მოგება დაბეგვრამდე	13	130850	114234
წინა წლის ზარალი			
მთლიანი სრული მოგება/ზარალი	14	130850	114234

დირექტორი:




შპს „ვიტ ჯორჯია ფარმი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საკუთარი კაპიტალი	384753	270519
წმინდა მოგება/ზარალი სხვა	130850	114234
სრული შემოსავალი		
პერიოდის სრული შემოსავალი/ზარალი	130850	114234
გაცემული დივიდენდი მარაგების ჩამოწერა-განადგურება		
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		
სულ ჯამი	515603	384753

დირექტორი:

ნ.



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვიტ ჯორჯია ფარმი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2005 წლის 22 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 205081365. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ნავთლულის ქ. N5/7. კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2006 წლის 23 ნოემბერს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფარმაცევტული, ჰიგიენურ-კოსმეტიკური საშუალებებით და ტექსტილით საბითუმო ვაჭრობა.

კომპანიის წილის მფლობელები არიან: 34%-იანი წილის მფლობელი გრიგოლ დადიანი (პ/ნ: 01009013985), 33%-იანი წილის მფლობელი ნოდარ გურგენიძე (პ/ნ: 01008013016), 33%-იანი წილის მფლობელი ზურაბ ესაიაშვილი (პ/ნ: 36001004303). კომპანიის დირექტორია ნოდარ გურგენიძე. 2024 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 7 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს.

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს. კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2024 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2024 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. მიწოდებული საქონლის ღირებულებიდან წლის ბოლოს ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მარკეტინგული (სარეკლამო) მომსახურების ღირებულების გაქვითვა წარმოდგენილი ა/ფ-ის საფუძველზე.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

ძირითადი საშუალებები

ცვეთა ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

აქტივის გაუფასურება

გაუვარგისებული და ვადაგასული მარაგების ჩამოწერა ხდება შემოსავლების სამსახურის მიერ შემოწმებისა და განაცხადის დადასტურების საფუძველზე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ან/და ზარალში.

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, რეალიზაციის დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შენიშვნა 3 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	2024 წლის დეკემბერი	2023 წლის დეკემბერი
ფული სალაროში	0	328
ფული საბანკო ანგარიშებზე	5874	55
სულ ჯამი	5874	3386

შენიშვნა 4 -სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

	2024 წლის დეკემბერი	2023 წლის დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	550020	720196
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0	0
სულ ჯამი	550020	720196

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების ამოღების პერიოდი შეადგენს დაახლოებით 60-90 დღეს.

შენიშვნა 5 - ძირითადი საშუალებები

	2024 წლის დეკემბერი	2023 წლის დეკემბერი
შენობა-ნაგებობა (ოფისი- საწყობი)	544885	179246
ავტოტრანსპორტი	4557	5696
კომპიუტერული ტექნიკა	5020	6275
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2308	2885
სულ ჯამი	556770	194102

შენიშვნა 6 - არამატერიალური აქტივები

	2024 წლის დეკემბერი	2023 წლის დეკემბერი
პროგრამული უზრუნველყოფა	9988	9988
სულ ჯამი	9988	9988

შენიშვნა 7 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საიჯარო ვალდებულება	2259	
სავაჭრო ვალდებულებები	145838	275134
საგადასახადო ვალდებულებები	4042	8976
გადასახდელი დივიდენდები		
სულ ჯამი	152139	284110

შენიშვნა 8 - სესხები-ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სხვა ვალდებულება	37000	0
მოკლევადიანი სესხები		0
გრძელვადიანი სესხები	526210	349830
სულ ჯამი	563210	349830

კომპანიას გააჩნია ბანკის გრძელვადიანი სესხები და დამფუძნებლის მიმართ დავალიანება

შენიშვნა 9 - ამონაგები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან სხვა	1022794	1006081
სულ ჯამი	1022794	1006081

შენიშვნა 10 - თვითღირებულება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-640847	-674043
სულ ჯამი	-640847	-674043

შენიშვნა 11- ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	-105440	-77306
საიჯარო ქირა	-27108	-22237
საწვავის ხარჯები	-19018	-22500
ცვეთა და ამორტიზაცია	-12159	-12159
ბანკის მომსახურება	-1197	-1233
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	-86175	-28900
სულ ჯამი	-251097	-164335

შენიშვნა 12 - ფინანსური ხარჯი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები	0	0
სულ ჯამი	0	0

შენიშვნა 13 - მარკეტინგული მომსახურება (ურთიერთჩათვლა)

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	0	-53469
სულ ჯამი	0	-53469

შენიშვნა 14 - სრული მოგება/ზარალი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოგება დაბეგვრამდე	130850	114234
წინა წლის ზარალი		
სულ ჯამი	130850	114234

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2025 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბრს.

დირექტორი: ნ.

